

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი # 1

ქ. ონი

15. 07. 2019 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე შუქურა ჯაფარიძე.

**საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 22 წევრი:** შუქურა ჯაფარიძე, ბაჩანა მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, ჯონი ბურდილაძე, ვასილ მაისურაძე, სონია გუგეშაშვილი, გოჩა მეტრეველი, გივი მეტრეველი, ვლადიმერ ბერელიძე, გიორგი მეტრეველი, მამია ყავლაშვილი, გელა მეტრეველი, გიორგი მარკოიშვილი, გიორგი მაისურაძე, ბესიკი მაისურაძე, ალექსანდრე ბერიშვილი, ჭაბუკა კერვალიშვილი, შორენა რეხვიაშვილი, ვანო ბალაშვილი, გიორგი სულაძე, ბექარი მაისურაძე, აველი ორდინიძე.

**არ ესწრებოდა 11 წევრი:** ღვთისავარ ბაკურაძე, ნოდარ ბურდილაძე, ირმა სტეფნაძე-იაშვილი, კესო ჩარკვიანი, ვლადიმერ ჩლაიძე, დიმიტრი გოშაძე, სერგო ლობჯანიძე, ანა ბაქრაძე, დავით სხირტლაძე, დავით მეტრეველი, როზა ჩალაძე,

საკრებულოს სხდომას ესწრებოდა შორენა ბიძიშვილი-მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.2019 წელს ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაჩთა-შეუბანში მისასვლელი გზის რეაბილიტაციის შესახებ.

მომხსენებელი-შორენა ბიძიშვილი-ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

**მოისმინეს:** 1. 2019 წელს ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაჩთა-შეუბანში მისასვლელი გზის რეაბილიტაციის შესახებ.

მომხსენებელი-შორენა ბიძიშვილი-ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი 2019 წელს ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაჩთა-შეუბანში მისასვლელი გზის რეაბილიტაციის შესახებ და განმარტა, რომ სოფელ ლაჩთა-შეუბნის მისასვლელი და შიდა საუბნო გზის დაახლოებით 2,5 კმ. მონაკვეთი ძლიერ დაზიანებულია, გაძნელებულია ავტომობილთა გადაადგილება, დარღვეულია მოძრაობის უსაფრთხოება. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს თავისუფალ და უსაფრთხო გადაადგილებას, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებას და მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური პროექტებში ჩართულობას. ისარგებლებს დაახლოებით 1 500 ბენეფიციარს.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**შუქურა ჯაფარიძე**

საკრებულოს თავმჯდომარე

